CAO შეფასების ანგარიში
საჩივარი
შპს (AGL)"აჭარისწყალი საქართველო"- სთან
დაკავშირებით

(IFC #33435, #37781, #601449 and MIGA #12315)

2018 წლის ივლისი

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის
მრავალმხრივი ინვესტირების გარანტიის სააგენტოს
შესაბამისობის მრჩეველი ომბუდსმენის სამსახური

www.cao-ombudsman.org

CAO-ს შესახებ

შესაბამისობის მრჩეველი-ომბუდსმენის სამსახური (CAO) წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა (IFC) და მრავალმხრივი საინვესტიციო საგარანტიო სააგენტოს (MIGA) (მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრები) დამოუკიდებელი ანგარიშვალდებულების ინსტრუმენტს. შესაბამისობის მრჩეველი-ომბუდსმენის სამსახური (CAO) ანგარიშვალდებულია უშუალოდ მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის წინაშე და მისი მანდატი მდგომარეობს იმაში რომ, IFC/MIGA დახმარებით განხორციელებულ პროექტებს დაზარალებული ადამიანების საჩივრების განხილვის პროცესში ხელი შეუწყოს ისე, რომ პროცესი იყოს სამართლიანი, ობიექტური და კონსტრუქციული, ამასთანავე, მან უნდა გააძლიეროს ამ პროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი შედეგები.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ : www.cao-ombudsman.org

აკრონიმთა ჩამონათვალი

ADB	აზიის განვითარების ბანკი
AGL	შპს. აჭარისწყალი საქართველო
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი
CAO	შესაბამისობის მრჩეველი-ომბუდსმენის სამსახური
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
MIGA	მრავალმხრივი საინვესტიციო საგარანტიო სააგენტო
OSPF	განსაკუთრებული პროექტების ხელშეწყობის სამსახური
PCM	პროექტთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის მექანიზმი

სარჩევი

სარჩევი 4

აბრევიატურები 5

1. მიმოხილვა 6

2. საკითხის ისტორია 6

   2.1 პროექტი 6

   2.2 საჩივარი 7

3. შეფასების შეჯამება 8

   3.1 მეთოდოლოგია 8

   3.2 ხედვათა შეჯამება 8

3.2.1 მომჩივანთა ხედვები 8

4. შემდეგი ნაბიჯები 11

აბრევიატურები

ADB	აზიის განვითარების ბანკი
AGL	შ.პ.ს. აჭარისწყალი საქართველო
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი
CAO	შესაბამისობის მრჩეველი-ომბუდსმენის სამსახური
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
MIGA	მრავალმხრივი საინვესტიციო საგარანტიო კორპორაცია
OSPF	სპეც. პროექტების ხელშემწყობი სამსახური
PCM	პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმი

მიმოხილვა

2018 წლის თებერვალში, CAO - მ მიიღო საქართველოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შუახევის მუნიციპალიტეტის, სოფელ მახალაკიძეების, რაბათის რაიონის 17 მაცხოვრებლის მიერ ხელმოწერილი საჩივარი. მომჩივნები აცხადებენ, რომ შუახევის ელექტროსადგურთან დაკავშირებულმა სამშენებლო საქმიანობამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა მათ სიცოცხლესა და უსაფრთხოებაზე, გამოიწვია ქვათაცვენის და მეწყრის რისკები, ასევე მიწისქვეშა წყლის დონეების შემცირება და მდ. აჭარისწყლის ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი გავლენა, მათ შორისაა წითელ წიგნში შეტანილი თევზის სახეობების გაქრობა. ისინი ასევე აცხადებენ, რომ AGL - იმ ვერ მოახერხა პროექტთან დაკავშირებული გეოლოგიური და სოციალური რისკების სწორად წარმართვა, ამასთანავე მან არ შეასრულა აჭარის მთავრობასა და სოფლის მაცხოვრებლებთან 2014 წელს დადებული შეთანხმება, რომლის თანახმად, ის ვალდებულებას იღებდა მშენებლობის შედეგად მიყენებული ზარალის კომპენსაციაზე.

2018 წლის აპრილში CAO - მ წარმოებაში მიიღო საჩივარი, დაიწყო მისი შემდგომი შეფასება და საჩივარში განხილული საკითხების შესწავლა. შეფასების დროს, მომჩივნები და კომპანია შეთანხმდნენ, რომ ჩაერთვებოდნენ CAO - ის მიერ ორგანიზებულ დავის მოგვარების ნებაყოფლობით პროცესში. წინამდებარე შეფასების ანგარიში მოიცავს შეფასების პროცესის მიმოხილვას, მათ შორის პროექტის, საჩივრის, შეფასების მეთოდოლოგიისა და შემდგომი ნაბიჯების აღწერას.

2018 წლის აპრილში, CAO-ომ საჩივარი წარმოებაში მიიღო შემდგომი შეფასების მიზნით და დაიწყო საჩივარში აღწერილი საკითხების შესწავლა. შეფასების პროცესში, მომჩივანები და კომპანია შეთანხმდნენ CAO-ოს მიერ გამართულ დავის გადაჭრის ნებაყოფლობით პროცესში ჩართვის თაობაზე. წინამდებარე შეფასების ანგარიშში წარმოდგენილია შეფასების პროცესის მიმოხილვა, პროექტის, საჩივრის, შეფასების მეთოდოლოგიისა და შემდგომი ნაბიჯების ჩათვლით.

საკითხის ისტორია

2.1 პროექტი

IFC - ის თანახმად, შპს "აჭარისწყალი საქართველო" (პროექტი) მოიცავს საქართველოში, აჭარაში, კერძოდ, აჭარისწყლის რეგიონში ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობას. კასკადი თავდაპირველად გულისხმობდა სამ ეტაპს, კონკრეტულად: 185 მეგავატიანი შუახევის, 150 მეგავატიანი კორომხეთისა და 65 მეგავატიანი ხერთვისის სქემებს.

ხერთვისის სქემა "აჭარისწყალი საქართველო" - მ არ განახორციელა მოსალოდნელი დიდი ეკონომიკური და ეკოლოგიური რისკების გამო, კორომხეთი კი განვითარების ადრეულ ეტაპზეა, ცალკე „ინფრავენჩარ“-ის პროექტის ფარგლებში. ამიტომ, „პროექტში“ იგულისხმება მხოლოდ შუახევი, რომელსაც ახორციელებს "აჭარისწყალი საქართველო" ("ას" ან "კომპანია") - ინდოეთის "ტატა ენერჯი"- ის, ნორვეგიის "ქლინ ენერჯი ინვესტი"- ისა (40% თითოეული) და IFC - ის (20%) ერთობლივი საწარმო. IFC - ის ინვესტიცია შედგება 70 მილიონ აშშ დოლარამდე ოდენობის „ა“ და 34 მილიონ აშშ დოლარამდე

ოდენობის საკუთარი კაპიტალით (IFC პროექტის ნომერი 33435 და 37781). ამასთანავე, IFC - ს ასევე ჰქონდა საკონსულტაციო პროექტი, რომელიც „აჭარისწყალი საქართველო“-ს რჩევებს აძლევდა ხარჯების შემცირების სტრატეგიასთან და შესაბამისი განხორციელების გეგმებთან დაკავშირებით, მათ შორის, თემებისა და სამუშაო ძალისთვის მდგრადი საარსებო საშუალებების საკითხზეც. (IFC პროექტის ნომერი 601449).

ს ს კ - ის გარდა, MIGA უზრუნველყოფს 63 მილიონი დოლარის ოდენობის გარანტიას Tata Power International Pte. Ltd-თვის, პროექტში მისი კაპიტალური დაბანდების დასაფარავად (MIGA # 12315).

2.2 საჩივარი

CAO - ში საჩივარი შეიტანა საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, შუახევის მუნიციპალიტეტის რაბათის რაიონის სოფელ მახალაკიძეების 17-მა მცხოვრებმა, („მომჩივნები“). შეფასების დროს მომჩივანთა წარმომადგენლებმა განმარტეს CAO-ოს, რომ საჩივრის ხელმოწერას აპირებდა დამატებით თემის ხუთი წარმომადგენელი, მაგრამ პირადი მიზეზების გამო ვერ მოახერხეს ეს და საჩივარში წარმოდგენილ დაზარალებულთა რაოდენობა 100-ს შეადგენს.

საჩივარში წარმოდგენილია „ას“-ის მიერ შუახევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროცესისას მახალაკიძეების მოსახლეობასა და ადგილობრივ გარემოზე მოხდენილი უარყოფითი ზემოქმედების რამდენიმე რეალური და მოსალოდნელი შედეგი. მომჩივნები აცხადებენ, რომ კომპანიის მიერ გვირაბის მშენებლობისას ჩატარებული საბურღი ოპერაციები და აფეთქებები გეოლოგიური პროცესების წარმართვის მიზეზი გახდა, რამაც გაზარდა მეწყრული მოვლენებისა და ქვათაცვენის სიხშირე, რაც საფრთხეს უქმნის თემის წევრთა სიცოცხლესა და უსაფრთხოებას. მომჩივნები ასევე აცხადებენ, რომ სამშენებლო სამუშაოებმა გამოიწვია მდინარის კალაპოტის ცვლილება, ამან კი, სავარაუდოდ, რეგიონის მიწისქვეშა ნაკადების მნიშვნელოვანი ვარდნა და სოფელი მახალაკიძეების მოსახლეობის სასმელი და სარწყავი წყლის რაოდენობის შემცირება, რაც მოსავლის მოცულობაზეც უარყოფითად მოქმედებს. მომჩივანთა აზრით, გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება იმდენად სერიოზულია, რომ ხალხის სიცოცხლესა და სოფელ მახალაკიძეების გადარჩენას საფრთხე ემუქრება.

CAO-ში საჩივრის შეტანის გარდა, მომჩივანებმა საჩივარი შეიტანეს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) პროექტის საჩივრის მექანიზმისა (PCM) და აზიის განვითარების ბანკის სპეციალური პროექტის ფასილიტატორის ოფისში. ეს ორგანიზაციები შუახევის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის თანადამფინანსებლები არიან. იმის გამო, რომ სამი საჩივარი იდენტურია და ერთსა და იმავე პროექტს უკავშირდება, CAO, PCM და OSPF მხარეებს შეუთანხმდნენ, რომ ამ პროცესში ერთმანეთთან ითანამშრომლებდნენ სხვა მხარეებთან ერთად. ეს უზრუნველყოფს დროისა და რესურსების ეფექტურ გამოყენებას და მიდგომების თანმიმდევრულობას, სხვადასხვა მექანიზმების დამოუკიდებლობის გათვალისწინებასთან ერთად.

შეფასების შეჯამება

3.1 მეთოდოლოგია

CAO - ის შეფასების მიზანია, გამოიკვლიოს განმცხადებლების მიერ წამოჭრილი საკითხები და შეშფოთების მიზეზი, მოიძიოს ინფორმაცია სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების შეხედულებების შესახებ და განსაზღვროს სურთ თუ არა, მომჩივნებსა და IFC / MIGA პროექტის სპონსორებს (ა ს) ("მხარეები") CAO - ის მიერ შემუშავებული დავების მოგვარების პროცესის ჩატარება, ან საჩივრის განხილვა უნდა გადაეცეს CAO - ის შესაბამისობის ფუნქციას IFC - ის / MIGA - ს ფუნქციონირების შეფასების მიზნით (CAO-ოს მიერ საჩივრის განხილვის პროცესის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის. იხ. დანართი „ა“). მისი საოპერაციო სახელმძღვანელოს მიხედვით, CAO არ არის იურიდიული სააღსრულებო მექანიზმი ან მასპინძელი ქვეყნის სასამართლო სისტემების შემცვლელი ორგანიზაცია. CAO მიზნად ისახავს საჩივარში გამოთქმული ძირითადი საკითხებისა და შეშფოთების მიზეზის მოგვარების შესაძლებლობების განხილვასა და მხარეთათვის სათანადო პროცესის შეთავაზებას.

ამ შემთხვევაში, CAO - ის საჩივრის განხილვა მოიცავდა:

- პროექტის დოკუმენტაციის კამერულ მიმოხილვას;
- მომჩივანთან შეთანხმებით, PCM - ისა და OSPF - ის მიერ მოწოდებული ყველა ანგარიშისა და დოკუმენტის კამერულ მიმოხილვას, რათა ზედმეტი საველე ვიზიტებით არ გადატვირთულიყვნენ მხარეები და CAO - ის შეფასების დასრულება შეფერხების გარეშე მომხდარიყო;
- სატელეფონო ზარები მომჩივანთა წარმომადგენლებთან;
- სატელეფონო ზარები კომპანიის წარმომადგენლებთან;
- შეხვედრები და სატელეფონო ზარები IFC - ის და MIGA - ს პროექტის გუნდებთან;
- PCM - ის გუნდთან შეხვედრები და სატელეფონო ზარები;
- შეხვედრები და სატელეფონო ზარები OSPF - ის გუნდთან.

3.2ხედვათა შეჯამება

წინამდებარე თავში შეჯამებულია მხარეების ხედვები CAO-ში გაგზავნილ საჩივარში მოყვანილი საკითხების შესახებ, რაც გამოიხატა მხარეებსა და CAO-ის შორის პირდაპირი საუბრების მეშვეობით ან მხარეთა თანხმობით PCM - ისა და OSPF- ის მიერ CAO-სთან გაზიარებული ინფორმაციის საფუძველზე.

3.2.1. მომჩივანთა ხედვები

- <u>უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შეშფოთება გაზრდილი მეწყრისა და სხვა გეოლოგიური რისკების გამო.</u> მომჩივნებმა განაცხადეს, რომ მათთვის ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს თავიანთი თემისადმი მოსალოდნელი გარდაუვალი საფრთხეები, რომელიც დაკავშირებულია სოფელ მახალაკიძეებში საშიში გეოლოგიური მოვლენების წარმართვის შესაძლებლობასთან. მომჩივნები მიიჩნევენ, რომ გვირაბების გაყვანის დროს „ას“ - ის მიერ ჩატარებული საბურღი სამუშაოები და აფეთქებები იწვევს გეოლოგიურად ხელშემწყობ პირობებს მეწყრისა და ქვათაცვენისათვის, აგრეთვე სოფელ მახალაკიძეების ქვეშ წყლის დაგროვებას

ხელოვნური ტბის სახით. მომჩივნები ამტკიცებენ, რომ კომპანიას რამდენჯერმე განუცხადეს საკუთარი შეშფოთების შესახებ, რაზეც კომპანიამ არ უპასუხა.

- <u>ზემოქმედება მიწისქვეშა წყლების დონეზე და სახლების დაზიანება:</u> მომჩივნები აცხადებენ, რომ „ას“- ის საშშენებლო სამუშაოებმა მნიშვნელოვანად იმოქმედა სოფელ მახალაკიძეების მაცხოვრებლების საარსებო საშუალებებზე და ამ პროცესებმა მათი სახლებისა და სხვა ქონების დაზიანება გამოიწვია. მომჩივნების განცხადებით, კომპანიის მიერ განხორციელებულმა გვირაბმშენებლობამ სოფლის იმ მიწისქვეშა წყლების ნაკადი შეცვალა, რომელიც ადგილობრივებისთვის წყალმომარაგების მთავარ წყაროს წარმოადგენდა. ამან რაბათის რაიონის 22 ოჯახიდან 100-მდე ადამიანი ძირითადი მოთხოვნილებებისათვის საჭირო საკმარისი წყლის გარეშე დატოვა. სარწყავი წყლის შემცირებამ კი, გამოიწვია მოსავლის მოცულობისა და ხარისხის გაუარესება, რაც ნატურალური მეურნეობის მიმდებარე სოფლის მოსახლეობას სერიოზულ ზიანს აყენებს. მომჩივნები ამტკიცებენ, რომ „ას“ - ის მიერ განხორციელებული აფეთქებებით და საბურღი სამუშაოებით გამოწვეულმა ვიბრაციამ და ქვათაცვენამ სოფელში რამდენიმე კერძო სახლი და თავშესაფარი დააზიანა.

- <u>კომპანიის მიერ პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასების და მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციების არარსებობა.</u> მომჩივნები აცხადებენ, რომ მათ არ აუნაზღაურეს პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული ზარალი, არც სასმელი წყლის და მოსავლის დაკარგვისთვის და არც მათი სახლების დაზიანებისთვის. ისინი აცხადებენ, რომ 2014 წელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და სოფელი მახალაკიძეები შეთანხმდნენ პროექტის განხორციელების კუთხით შესაბამისი ვალდებულებების შესახებ. [1] აჭარის მთავრობამ აიღო ვალდებულება, უზრუნველყოს სტიქიური უბედურებების შედეგად განადგურებული ან დაზიანებული სახლებიდან ოჯახების განსახლების (ხელშეკრულების პირველი მუხლი). თავად კომპანიამ კი რამდენიმე ვალდებულების შესრულება აიღო საკუთარ თავზე, მათ შორის, პროექტით გამოწვეული კერძო საკუთრებისთვის მიყენებული დაზიანებების შეკეთება, წყლის მიწოდების გამოსწორება და სოფლისთვის წყლის მიწოდების შემოწმება. (შეთანხმების მე - 2 მუხლი). მომჩივნებმა აღნიშნეს, რომ მათ რეგიონალურმა მთავრობამ გარკვეული კომპენსაცია შესთავაზა, თუმცა თავად მოსახლეობამ უარი განაცხადა მის მიღებაზე, რადგან მიიჩნევენ, რომ თანხა არაპროპორციულად დაბალია მიღებულ ზარალთან შედარებით.

- <u>ზემოქმედება მდინარე აჭარისწყლის ბიომრავალფეროვნებაზე:</u> მომჩივნები აცხადებენ, რომ პროექტის უარყოფითი ზეგავლენა აჭარისწყლის ბიომრავალფეროვნებაზეც ვრცელდება. საუბარია რამდენიმე თევზის სახეობაზე, მათ შორის გადაშენების პირას მყოფებზეც და სავარაუდოა, რომ ისინი მას შემდეგ გაქრნენ მდინარიდან, რაც კომპანიამ შუახევის სადგურის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო.

[1]შეთანხმება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, შპს. აჭარისწყალი საქართველოსა და სოფელ მახალაკიძეების მაცხოვრებელთა შორის (2014 წლის 1 მაისი)

3.2.2. კომპანიის ხედვა

- <u>სოფლის მოსახლეობისთვის მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობის აღება:</u> „აჭარისწყალი საქართველო“ კითხვის ქვეშ აყენებს, მომჩივანთა მიერ გაკეთბულ განცხადებას, რომლის მიხედვით, აღწერილი ნეგატიური ზემოქმედება გამოწვეული იყო კომპანიის საქმიანობით. „აჭარისწყალი საქართველო“ განმარტავს, რომ 2014 წელს, პროექტის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, გვირაბის გასწვრივ მდებარე სახლებთან დაკავშირებით განხორციელდა ინსპექტირება, რომელიც ჩატარდა ერთობლივი ინსპექტირების კომიტეტის მიერ, რომლის შემადგენლობაში ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები, თემის წარმომადგენლები და დამოუკიდებელი გეოლოგიის ექსპერტები იყვნენ. გვირაბის მშენებლობის დასრულების შემდეგ, 2016 წელს ინსპექტირების ერთობლივმა კომიტეტმა შეაფასა სოფელში სახლებისთვის მიყენებული დაზიანებები და დაასკვნა, რომ ისინი ბუნებრივი ფაქტორებით იყო გამოწვეული და არ უკავშირდებოდა უშუალოდ „აჭარისწყალი საქართველო“-ს ოპერაციებს. თუმცა, „აჭარისწყალი საქართველო“ „თემის მიმართ სოციალური პასუხისმგებლობის“ ინიციატივების ფარგლებში ადგილობრივ მთავრობას დახმარება გაუწია ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გადასახლების პროგრამაში წვლილის შეტანის თაობაზე შეთავაზების ფორმით.

- <u>სოფელ მახალაკიძეებში მიწისქვეშა წყალზე ზემოქმედება: „აჭარისწყალი საქართველო“-ომ</u> განაცხადა, რომ იგი 2014 წლიდან დღემდე რეგულარულად აკონტროლებს სოფელ მახალაკიძეებში წყაროს წყლის დინებას და მონიტორინგის შედეგებს ყოველთვიურად უგზავნის საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს. „ას“-ის მონაცემებით, ექსპერტებმა, რომლებმაც განახორციელეს წყლის მონიტორინგი, ვერ აღმოაჩინეს რაიმე მიზეზშედეგობრივი კავშირი „ას“ - ის საქმიანობასა და სოფელში მიწისქვეშა წყლების შემცირებას შორის. თუმცა, „ას“- ი განმარტავს, რომ იგი აღიარებს სოფელში წყლის ნაკლებობის პრობლემის არსებობას, რაც უარყოფითად მოქმედებს ამ სოფელზე და ამის საპასუხოდ, მერიასთან თანამშრომლობით წამოიწყო და განახორციელა წყალმომარაგების ორი სარეაბილიტაციო პროექტი ამ თემის სასარგებლოდ.

- <u>„ას“-ის ჩართულობა ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა:</u> „ას“-ი აცხადებს, რომ ადგილობრივ თემთან თანამშრომლობა დაიწყო პროექტის განვითარების ადრეულ ეტაპებზე და დროულად პასუხობდა კომპანიისთვის წარდგენილ ყველა საჩივარს. „ას“-ი მ აღნიშნა, რომ მან 30-ზე მეტი შეხვედრა გამართა მახალაკიძეების მოსახლეობასთან, რათა მიეწოდებინა ინფორმაცია პროექტის განხორციელებისა და ზემოქმედების შესახებ. გარდა ამისა, 2013 წელს მან შექმნა საზოგადოებრივი საინფორმაციო ცენტრი და კომპანიის საჩივრების განხილვის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც მიიღო და განიხილა ადგილობრივი თემიდან შემოსული 30 საჩივარზე მეტი, რომელიც ეხებოდა სახლის დეფორმაციის, მიწისქვეშა წყლების დაკარგვის, მიწების შეძენისა და დასაქმების საკითხებს. „აჭარისწყალი საქართველო“-მ განაცხადა, რომ აჭარის რეგიონის განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობასთან პარტნიორობის გზით მზადაა დააფინანსოს სხვადასხვა სოციალური პროექტები სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამების ეგიდით. „აჭარისწყალი საქართველო“-მ აგრეთვე მიუთითა, რომ ადგილობრივ

თვითმმართველობას 5000 ლარის ოდენობის თანხა გადასცა სოფელ მახალაკიძეებში მეწყრით დაზარალებული ოჯახების განსახლების პროგრამის მხარდასაჭერად.

- <u>ზემოქმედება მდ. აჭარისწყლის ბიომრავალფეროვნებაზე:</u> მომჩივნების განაცხადთან დაკავშირებით, რომ პროექტმა უარყოფითი გავლენა მოახდინა მდინარე აჭარისწყლის ბიომრავალფეროვნებაზე, კომპანია თვლის, რომ ეს პრეტენზია არარელევანტურია, ვინაიდან ეს თემი მდინარე ჩირუხისხევთან მდებარეობს. გარდა ამისა, კომპანიამ განუმარტა CAO-ს, რომ იგი რეგულარულად ახორციელებს სამივე მდინარის მრავალფეროვნების მონიტორინგს (მდინარე აჭარისწყლის ჩათვლით) და მის შედეგად შეგროვებული მონაცემები არ მიგვანიშნებს რაიმე ცვლილებასა ან პრობლემაზე. კომპანიამ აგრეთვე დაამატა, რომ კომერციული საქმიანობა ჯერ არ დაუწყია და პრეტენზიები მდინარის ბიომრავალფეროვნებაზე გავლენის შესახებ წყლის მიმართულების შეცვლის გამო არარელევანტური და უსაფუძვლოა.

შემდეგი ნაბიჯები

როდესაც CAO - მ შეფასების პროცესი დაიწყო, ცნობილი გახდა, რომ PCM - ის ფარგლებში მომჩივნები და კომპანია უკვე შეთანხმდნენ დიალოგის პროცესის დაწყებაზე. CAO-ისთვის ასევე ცნობილი გახდა OSPF - ის გადაწყვეტილების შესახებ, დაიწყოს გამოძიების პროცესი პრობლემის გადასაჭრელად იმის გათვალისწინებით, რომ არასასურველი იქნებოდა დავის მოგვარების რამდენიმე პარალელური პროცესის წარმართვა, მომჩივნებმა და კომპანიამ აღნიშნეს, რომ მათ ურჩევნიათ, CAO-მ და PCM-მა დავის გადაჭრის პროცესი ერთობლივად წარმართონ. კომპანიამ და მომჩივანებმა ასევე აღნიშნეს, რომ იდეალური იქნებოდა, თუ CAO, PCM და OSPF მაქსიმალურად მოახერხებდნენ თავიანთი საქმიანობის კოორდინაციას. ამ მიზნით, CAO, PCM და OSPF ერთმანეთთან კონსულტაციების შედეგად გადაწყვეტენ შემდგომი მოქმედების საუკეთესო გზას. ვინაიდან, მხარეებმა დიალოგის პროცესში ჩართვის გადაწყვეტილება მიიღეს, ეს საჩივარი განხილული იქნება CAO - ის დავების მოგვარების სამსახურის მიერ.

დანართი ა. CAO-ის მიერ საჩივრების მართვის პროცესი

იმ მომენტიდან, როდესაც CAO საჩივარს წარმოებაში მიიღებს, ტარდება პირველადი შეფასება CAO-ის დავების მოგვარების ერთეულის მიერ. CAO-ის შეფასება მიზნად ისახავს: (1) დეტალურად გაერკვეს მომჩივანის მიერ განცხადებულ საკითხებსა და პრობლემებში; (2) მოიპოვოს ინფორმაცია სხვა დაინტერესებული მხარეების ხედვების შესახებ და (3) დაეხმაროს დაინტერესებულ მხარეებს უკეთ გაეცნონ პრობლემის გადაჭრის არსებულ ალტერნატივებს და გადაწყვიტონ, სურთ თუ არა CAO-ის დავების მოგვარების დეპარტამენტის მეშვეობით და თანამშრომლობის გზით მოაგვარონ პრობლემა, თუ საქმე განიხილოს CAO-ის შესაბამისობის ერთეულმა და მიმოიხილოს IFC/MIGA-ის გარემოსდაცვითი და სოციალური ფუნქციის შესრულება.

CAO-ის საოპერაციო პროცედურების[2] მიხედვით, საჩივრის მიღების შემდეგ პროცესი ჩვეულებრივ შემდეგნაირად მიმდინარეობს:

ნაბიჯი 1: საჩივრის მიღების **დადასტურება**.

ნაბიჯი 2: **მისაღებობა:** CAO-ის მანდატის მიხედვით საჩივრის მისაღებობის განსაზღვრა (არაუმეტეს 15 სამუშაო დღისა).

ნაბიჯი 3: **CAO-ის შეფასება:** საკითხების შეფასება და დაინტერესებული მხარეების დახმარება პროცესის გაცნობიერებასა და გადაწყვეტილების მიღებისას იმასთან დაკავშირებით, სურთ თუ არა კონსენსუალური შეთანხმების მიღწევა CAO-ის დავების მოგვარების მექანიზმის მიერ შეთავაზებული თანამშრომლობითი პროცესის მეშვეობით, თუ საქმე უნდა გადაეცეს CAO-ის შესაბამისობის მექანიზმს, რომელიც განიხილავს IFC/MIGA-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის სათანადო აღსრულებას. შეფასების დრო არ აღემატება 120 სამუშაო დღეს.

ნაბიჯი 4: **შეთანხმების მიღწევის ხელშეწყობა**: იმ შემთხვევაში თუ მხარეები აირჩევენ თანამშრომლობის გზას, CAO დაიწყებს დავის მოგვარების პროცესს, რაც ეფუძნება ურთიერთგაგების მემორანდუმს, ან მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმებით მიღებულ წესებს. პროცესი შესაძლოა მოიცავდეს ხელშეწყობა/მედიაციას, ფაქტების ერთობლივ დადგენას, ან სხვა შეთანხმებულ მიდგომას, რაც მიზნად ისახავს ურთიერთშეთანხმების მიღწევას. პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული ამ ტიპის მიდგომის მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ საჩივარში განცხადებული და საჩივართან დაკავშირებული შეფასების დროს, ან დავის გადაჭრის პროცესში აღმოჩენილი სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები მოგვარდეს ისე, რომ ეს მისაღები იყოს დაინტერესებული მხარეებისათვის.[3]

---

[2]CAO-ის როლისა და მუშაობის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საოპერაციო ინსტრუქციები: http://www.cao-ombudsman.org/documents/CAOOperationalGuidelines_2013.pdf

[3]იმ შემთხვევებში თუ მხარეები თანამშრომლობის გზით ვერ ახერხებენ პრობლემის მოგვარებას დათქმულ ვადებში, CAO-ის დავების მოგვარების დეპარტამენტი დაეხმარება დაინტერესებულ მხარეებს სირთულეების დაძლევაში. თუ ეს შეუძლებელია, დავების მოგვარების გუნდი აცნობებს მხარეებს, IFC/MIGA ს თანამშრომლებს, მსოფლიო ბანკის ჯგუფის პრეზიდენტს და სამეთვალყურეო საბჭოს და საზოგადოებას იმის შესახებ, რომ დავების გადაჭრის ჯგუფმა დახურა საჩივარი და ის გადასცა შესაფასებლად CAO-ის სტანდარტებთან შესაბამისობის დამდგენ დეპარტამენტს.

ან

შესაბამისობის შეფასება/გამოძიება: თუ მხარეებმა აირჩიეს სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის პროცესი, CAO-ის შესაბამისობის დამდგენი დეპარტამენტი დაიწყებს ექსპერტიზის პროცესს მოცემული პროექტის მიერ IFC -ის ან MIGA-ის გარემოსდაცვითი და სოციალურ პასუხისმგებლობასთან შესაბამისობის დასადგენად იმისათვის, რომ გაარკვიოს, საჭიროა თუ არა ამ პროექტთან დაკავშირებით IFC/MIGA-ის საქმიანობის აუდიტის ჩატარება სტანდარტებთან შესაბამისობის შესამოწმებლად. ექპერტიზის ჩატარებას დაეთმობა მაქსიმუმ 45 დღე. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყდა აუდიტის ჩატარება, CAO-ს სტანდარტებთან შესაბამისობის დამდგენი დეპარტამენტი ჩაატარებს IFC/MIGA-ის მუშაობის სიღრმისეულ აუდიტს. ნებისმიერი აღმოჩენილი შეუსაბამობის შესახებ ანგარიში და ინფორმაცია გამოქვეყნდება საჯაროდ, IFC/MIGA-ის პასუხთან ერთად.

ნაბიჯი 5: **მონიტორინგი და შესრულების კონტროლი**

ნაბიჯი 6: **დასკვნა/საქმის დახურვა**